

მანანა ბუკია

მწყემსური ლექსიკა მეგრულ ტოპონიმიკაში

მეგრულ ტოპონიმებში უხვად გვხვდება მწყემსურ ლექსიკასთან დაკავშირებული ფორმები. მათ უმეტეს ნაწილში წარმოდგენილია საქონლის საზაფხულო / ზამთრის (სააფხუნი და საზოთო) სადგომებთან დაკავშირებული სიტყვები. ტოპონიმები წარმოდგენილია როგორც მარტივი, ასევე წარმოქმნილი ფორმებით და სინტაგმებით (მასალები აღებულია პ. ცხადაიას ნაშრომებიდან „სამეგრელოს გეოგრაფიული სახელები“).

ყველაზე ხშირად გვხვდება მწყემსის საზაფხულო სადგომის, კარვის აღმნიშვნელი **კარე** / **კარეე** სიტყვა. ტოპონიმებში ის იშვიათადაა წარმოდგენილი მარტივი სახით: **კარე** – მინდორი (მარტვილი, თამაკონი), სამოვარი ნოღელის მარცხ. მხარეს (აბაშა, ონტოფო), **კარე** – ვენახი თამაკონში (ცხადაია 2004: 242); სხვა ფორმები: ნაგენეტივარი: **კარეში** – სახნავი მარსილში, ბობოშთან (მარტვილი, ჯოლევი), სახნავი სოფ. ჯოლევიში; წინა ვითარების: **ნაკარ** „ნაკარვალი“ – სამოვარი სოფ. ქვედა ჩხოროწყეში, ბორცვი სოფ. ლეახალეში (ჩხოროწყეს რ-ნი), საბალახო ჭოღალალის მარცხ. ნაპირზე (ჩხოროწყე, მ. ჭოღა); ბორცვი შექედლალსა და ნეძონას შუა (ჩხოროწყე, ლეახალე), ღელე, არახამიეფიმ ღალის ქვემო წელი, ხეხილნარი ზანის მარცხ. ნაპირზე, საჯოჯუმში (ჩხოროწყე, ახუთი); **ნაკარე(ნი)** – სახნავი რიონის ჭალაში, **ნოკარენი** – ბორცვი ინჩხერიმ ნოდის ნაპირას, სახნავი ნოღელის მარჯვ. მხარეს. სალაბარტყაოში, ტყე ჭალის სატყეოში, ბორცვი სოფ. ქვაითში, ტყე-მინდვრები ჯოლიეფიმ გოლას აღმ. კალთაზე. ყველაზე ხშირად წარმოდგენილია ტოპონიმები, სადაც აპელატივად **კარე** „კარავი“, **ნაკარუ** / **ნაკაროუ** „ნაკარვალი“, **საკარა** „საკარვე“ ფორმებია წარმოდგენილი: **სამეველე** / **სამეველო კარე** „მეველის კარავი“ – მინდორი, ხობისწყლის მარცხ. ნაპირას (ხობი), სახნავი დასახლების განაპირას, სადაც უწინ სიმინდის ყანაში მდგარა მეველეთა კარავი (ხობი), **მეხოჯემ კარე** – სამოვარი მოთენაში; **მესურიეფიმ ნაკარუ** (მარტვილი, გაჭედლის

სატყეო), **მიხაშ ნაკაროუ** – ნასადგომევი შქვითწელამში (მარტვილი, ტალერის სატყეო); **ნუხსაკარა** „ნამძის საკარვე“ – სამოვარი ნამძენარში, ხეზილსა და ჭგვეგვალას შუა (მარტვილი, ლეზარდეს სატყეო), **პატონსაკარა** „პატონის საკარვალი“ – სამოვარი (სალხინოს სატყეო), **რზენსაკარა** – ალპური სამოვარი მაქეოცემსა და ლეჭეხას მთებს შუა (მარტვილი, ლეზარდეს სატყეო). **კარე** „კარავი“, **ნაკარუ / ნაკარენი** „მაკარვალი“ საკარა „საკარვე“ აპელატივის შემცველი ტოპონიმები გვხვდება როგორც მთიან, ასევე ბარის სამეგრელოში.

შუშელი ალპური სამოვრების ზონაა, „მთაში მწყემსები ისეთ მთას ეძახიან, სადაც ზალახის მეტი სხვა მცენარე არ არის“ (სახოკია 1985: 370). სიტყვა ზედმიწევნით „შიშველს“ ნიშნავს. სამეგრელოს ტოპონიმიაში ეს სიტყვა გვხვდება როგორც მარტივი, ასევე კომპოზიტურ და სინტაგმურ ტოპონიმში აპელატივად: **შუშეი** – ალპური სამოვარი, ასხის მთის ნაწილი (მარტვილის რ.), ალპური სამოვარი ოხაჩქუეში (წალენჯიხა, ჭალის სატყეო), **შუშელი / შვიშველი** ალპური სამოვრები ტეხურ-ცხენისწყლის წყალგამყოფში (მარტვილის რ.), **შუშელია** – მცირე ალპური სამოვარი ლეჭეხის სათავესთან (მარტვილის რ.); **ფართო შუშელი** – ალპური სამოვარი ოხაჩქუეში (წალენჯიხა, ჭალის სატყეო); **შუშელწიფონა** – სამოვარი წისქვილარის ზემოთში, გვალაიასა და ნათიფურს შუა (სქურის სატყეო). **შუშელი** „ალპური (უტყეო) სამოვარი“, **წიფონა** „წიფლნარი“.

ქართა „საქონლის საზაფხულო სადგომი, გადაუხურავი“ (ყიფშიძე 1914: 342); „საქონლის დასამწყვდევი, ირგვლივ მოზღუდული, უსახურავო, – ბაკი (ქაჯაია 2002-ა: 128). **ქართა** და მისგან ნაწარმოები წინავითარების **ნაქართუ** ძირითადად აპელატივად გვხვდება სინტაგმურ ყოპონიმებში: **ქართა / ასმანცხვარიშ ქართა** – სამოვარი ასხში, ასმანცხვართან. აქ იყო ქართა – საქონლის დასამწყვდევად შემოღობილი ადგილი (მარტვილი, სალხინოს სატყეო), **ნაქართუ** – სახნავი ოქიორემდაის ნაპირზე (მარტვილი, სკურდი), ფერდობი. იგივე **ნაკარუ** (მარტვილი, ჯოლევი); **კარგიშალიშ ქართა** – ბერა. იგივე ქართა (მარტვილი, სალხინოს სატყეო); **კარმეედანიშ ქართა** – მინდორი. იგივე ქართა (მარტვილი, სალხინოს სატყეო);

ბარგა „საქონლის დროებითი საბანაკო ადგილი; დაბარგების ადგილი სამწყემსურის გზაზე“ (ქობალია 2010: 57), **დაბარგება** „ბარგის

დადება შესვენების მიზნით, რამდენიმე დღით დაბინავება მწყემსისა და საქონლისა, რასაც მიმართავდნენ საზამთრო-საზაფხულო სამოვრების გარდამავალ ზონაში“: სიტყვა სხვადასხვა ფორმითაა წარმოდგენილი სამეგრელოს ტოპონიმიაში: **ნაბარგ** „ნაბარგალი“ – დავაკება სოფ. ქოყოში და საქონლის შესასვენებელი ადგილი მაგანის ხეობაში; სამოვარი თორსასა და ნაშხურუს შუა (წალენჯიხა, მაგანის სატყეო); **ცელვეშ ნაბარგ** „სადაც ცელვეშ დაიბარგა“ – დავაკება ჭანისწყლის ზემოთში, ლაშქედის კალთაზე (სქურის სატყეო). მეჯოგე ცელვეშ კვარაცხელია გაზაფხულზე ან შემოდგომაზე აქ დაიბარგებდა ხოლმე რამდენიმე დღით (ცხადაია 2004: 248); **მაციშ ნაბარგ** – დავაკება ყვირაში, ინწირის სათავესთან, სადაც ალპური სამოვრებიდან ბარისაკენ დამრული მაცი საქონელს რამდენიმე დღით გააჩერებდა, ე.ი. დაიბარგებდა (წალენჯიხა, ჯვარის სატყეო); **საბარგი** „დასაბარგებელი ადგილი“: **ნაზუსაბარგი** – დავაკება, საქონლის შესასვენებელი ადგილი ტეხურის ზემოთში. მდებარეობდა ორი ნამვის ძირას (ლებარდის სატყეო), , **ცხაცხუსაბარგი** „ცაცხვის საბარგი“ – ტყე ხურჩის სათავესთან (წალენჯიხა, ნაგურუ); **ცხიმურსაბარგი** „რცხილის საბარგი“ – დავაკება, საქონლის შესასვენებელი ადგილი მაგანის ხეობაში, მთის გზაზე (წალენჯიხის რ.); **გინაბარგინა** „ნაბარგალი ადგილი“: **შხურიშ გინაბარგინა** – დავაკება ეწოწორეში, ხეიშთან. ზედმ. „ცხვრის დანაბანაკები, ნაბარგალი“.

გიშახუნაფუ „ადგილი, სადაც დროებით შეამხანაგებული მეჯოგეები შემოდგომის დამდეგს გამოასხამდნენ თავ-თავიანთ თხა-ცხვარს, რათა დამოუკიდებლად განეგრძოთ გზა სოფლისაკენ... თითოეული მეჯოგე-მაკათური იჭერდა საკუთარ თხასა თუ ცხვარს და მიჰყავდა თავისი ბერასაკენ... სწორედ ამ პროცესს ეწოდებოდა **გიშახუნაფა / გეშახუნაფა** „გამოსხმა, გამოყვანა, გამოცალკეება“ (ცხადაია 1999: 19-20). **გიშახუნაფუ** მიმლეობური წარმოშობის ტერმინია და გვხვდება სამეგრელოს ტოპონიმიაში: **გიშახუნაფუ / შხურიშ გეშახუნაფუ** „ცხვრის გამოსაყვანი“ – ხევი შქაშკარესა და საუხაფუოს შუა, ასხზე; **გეშახუნაფუ** – სამოვარი ტყის ზონაში, ტეხურის ზემო წელის მარცხ. ნაპირზე, ინჭგრონიშ ღალის შესართავს ქვემოთ (მარტვილი, ლებარდეს სატყეო); ტყე-სამოვარი ტეხურის ზემოთში (ლებარდის სატყეო); **გეშახუნაფუშ კარე** „გამოსაყვანის კარავი“ – მწყემსის სადგომი

გემახუნაფუში (მარტვილი, ლებარდეს სატყეო); **გემახუნაფუმ ღალე** „გამოსაყვანის ღელე“ – მდინარე. მოედინება გემახუნაფუდან. ერთვის ტეხურს მარცხ. მხრიდან (მარტვილი, ლებარდეს სატყეო); **გემახუნაფუმ წყარი** „გამოსაყვანის წყალი“ – ღელე, სათავე აქვს ჩიქონში, გაედინება ჩამვონში (მარტვილი, ლებარდეს სატყეო); **გემახუნაფუჩიქონი** – დავაკება. იგივე ჩიქონში გემახუნაფუ (მარტვილი, ლებარდეს სატყეო). **დიდი გემახუნაფუ** „დიდი გამოსაყვანი“ – ხეობა, ტაფობი გემახუნაფუს (იხ.) დას. კალთაზე (ჩხოროწყუ, ხობისწყლის ხეობა); **ჭიჭე გემახუნაფუ** „პატარა გამოსაყვანი“ – ხეობა, დიდღალის ზემოთი მთა გემახუნაფუს დას. კალთაზე. შრდ. დიდი გემახუნაფუ (ხობისწყლის ხეობა).

გაკებული „შემოკავებული ადგილი, სადაც ჩასვამენ ხოლმე გინემს (ხბობეს), ქაცარებს (ციკნებს) და სხვ.“ (ქაჯაია 2001: 282). გასუბსტანტივებული მიმღობის (**გა-კ-ებ-ულ-ი**) ძირია **აკავებს** ზმნისაგან მიღებული **გაკება** „გაკავება“. ტოპონიმად გვხვდება მთიან სამეგრელოში: **გაკებული** – ვაკე-ტაფობი. იგივე ოხვეტეში (ჩხოროწყუ, ნაფიჩხოვო); **გაკებული** – ერქვა ბუჩქნარს ლეგედელეში. ამჟამად საკარმიდამოა (ჩხოროწყუ, თაია); ერქვა ბუჩქნარს ოხარკალეს მარცხ. ნაპირას (ჩხოროწყუ, ნაფიჩხოვო); ბუჩქნარი შონიათში. ამჟამადაც შემოკავებულ-შემოდობილია (ჩხოროწყუ, პ. ჭოლა); სახნავი ლეთოლორდეში (მუხური); ჩაის ფართობი ლელაგვილეში (ჩხოროწყუ, ნაფიჩხოვო) და სხვ.

ოხვილიში „სამწყვდევი, სამწყვდევისი“ (ქაჯაია 2002: 470). **ხვილუა** მეგრულად დამწყვდევას ნიშნავს. ნაგენეტივარი სახელი დანიშნულების ო- პრეფიქსითაა ნაწარმოები. სიტყვა ეტიმოლოგიურად „სამწყვდევისს“ ნიშნავს. მეგრულში ეს ტერმინი მწყემსურ ლექსიკას უკავშირდება და ნიშნავს საქონლის დასამწყვდევად შექმნილ ნაგებობას ან ბუნებრივად წარმოქმნილ ადგილს მთის სამოვარზე. **ოხვილიში** / **ოხვილეში** – კლდე ოლორის მარჯვ. ნაპირას (წალენჯიხა, ფახულანი). ინფ.: „აქ იყო საჩეხი, სამწყვდევი ადგილი: კლდის ქვეშ ენგური ქმნიდა ყურეს. კლდის თავზე კი გზა მხოლოდ ბოგირხიდზე გადიოდა“. აქვე ოლორს ერთვის **ოხვილიშწყარი**. ჩამოედინება ნაბერამსუკიდან. არის წყოუმისა და ფახულანის საზღვარი; **ოხვილსუკი** „სამწყვდევი ბორცვი“ – კონცხი უბადომიკოლსა და სქვამსუკს შუა. გადასცქერის ლაჩახვის ხეობას.

სამმხრივ ფლატეები აქვს და საქონელი ვერ ჩადის, ემწყვდევა (წალენჯიხა, ნაკიფუ).

საბეკი „ცხენების სადგომია“ (ქობალია 2010: 577), აღნიშნავს იმ ადგილს, სადაც ქარ-წვიმიან ამინდში ცხენები წრიულად დგებიან შიგნით თავმიქცეულნი და მიწა იტკეპნება (**ბეკუა** „ბეკნა, მიწის ტკეპნა“). სიტყვა ფართოდაა წარმოდგენილი მეგრულ ტოპონიმიაში: **საბეკი** – სამოვარი ტაბაკოლაში. შუადღისას, სიცხეში, აქ საქონელი იყრის თავს. მალალი ადგილია და სიო მუდმივად ქრის (მარტვილი, გაჭედისის სატყეო); ფერდობები ლეთოდუეს ჩრდ.-აღმ. ნაწილში (მარტვილი, დოშაყე); სახნავი პარტიკის მარცხ. ნაპირას, ოჩეს გვერდით (ხოზი, საჯიჯაო, ზენი); ვაკე, ჩაის ფართობი საქაროსა და ოჭკემს შუა. უწინ ტყე ყოფილა. ამ ტყეში მინდვრებს ერქვა: თუდოლენი საბეკი, შქაშსაბეკი და ჟიმოლენი საბეკი (წალენჯიხა, ჭალე, ეწერფერდი). ინფ.: „შარაშიას ცხენის ჯოგი მდგარა და იმიტომ დარქმევია საბეკი“; სერი საკოდლოში. აქ მცხოვრებ კოდლებს საბეკარეფს უწოდებენ (ზუგდიდი, აბასთუმანი); **ცხენსაბეკი** – გორა-სამოვარი ნახუნუმ გოლაში (მარტვილი, ნახუნავო); ვაკე-ფერდობები ყულიშის კალთაზე, სადაც, გადმოცემით, ცხენის რემა იბარებდა და ტკეპნიდა მიწას (წალენჯიხა, მაგანის სატყეო); მთა-სამოვარი აბაშა-ტეხურის წყალგამყოფზე, წყვიასა და ცაიშს შუა (მარტვილი, თამაკონი); **საბეკიშ დაი** – დელე, ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი. იწყება სარევიოში და გაედინება საბეკში (მარტვილი, ხუნწი).

საჩხე „საქონლის სამწყვდევად შემოკავებული ადგილი“ (ქაჯაია 2002: 587). სიტყვა მეგრულ მწყემსურ ლექსიკაში ძირითადად ო-ე, ო-ალ აფიქსებით ნაწარმოები ფორმებით არის წარმოდგენილი: **ოჩიხალი** „საქონლის გადაუხურავი სადგომი“ (ბუკია 1999: 139), **ოჩიხე** „სამწყვდევი“ (ქაჯაია 2002: 462), **ოჩიხუე** „სამწყვდევი“ (ქაჯაია 2002: 462), ტოპონიმებში კი სა-ე ფორმანტიანი ტერმინები გვხვდება: **საჩეხი** – სამოვარი ნოღელის მარჯვ. ნაპირზე, ძიგურის საზღვართან (აბაშა, საბოკუჩავო); სახნავი აბაშის მარჯვ. მხარეს. ინფ.: „ჩვენი კუთხე იყო საწყოინდარო. ჭყოინდარს ჰყავდა ჯოგი და აქ საჩეხი ჰქონდა“; საბალახო მდ. აბაშის ჭალაში, ოპურასქიესთან; შურო, ფერდობები ტაბაკოლის კალთაზე, ზეინდიშ ფერდთან (მარტვილი, პატარა ინჩხური); **საჩიხი** – ერქვა მინდორს სადადიო ენწერში (ზუგდიდი, ოირემე).

კაზარმა „შენობა, სადაც ზამთრობით უყენიათ საქონელი“ (წალენჯ., ჩხოროწყუ); „საკვების შესანახი ბოსლის თავზე“ (მარტვ.). „ბოსელი; კაზარმა“ (ქაჯაია 2002: 97). სამეგრელოს ტოპონიმიაში ეს ტერმინი გვხვდება წინავითარების **ნაკაზარმუ / ნაკაზარმ** „ნაკაზარმალი“ ფორმითაც: **კაზარმა** – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას, ორხესა და ჩელაღს შუა (ხობი, ბია); **ნაკაზარმე / ნაკაზარმუ** – დავაკება მაგანის ნაპირას, სადაც ერთ დროს ბზის მჭრელთა ყაზარმა მდგარა (წალენჯიხა, ლექარდე); ტყე ყვანთში (წალენჯიხა, სქურის სატყეო); ბორცვი ქვედა გარახაში, ხომაკირდეს ფერდობზე; ბორცვი დეჭყესა და შებეს წყალგამყოფ სერზე (ჩხოროწყუ, ხანწვი); მინდორი ბორცვზე, სასახურიოში, მენჯღალის სათავესთან (ჩხოროწყუ, კირცხი); სახნავი გემოხონჭალესთან (ჩხოროწყუ, ოჩხომური); სახნავი ჭაჭახში (წალენჯიხა, ობუჯი)... ხშირადაა წარმოდგენილი სინტაგმურ ტოპონიმში აპელატივად: **ბუხუტიაშ ნაკაზარმუ** „ბუხუტიას ნაკაზარმალი“ – ტყე ტეზიძესთან (სენაკი, გეჯეთი); **ნაკაზარმუმ ტობა** „ნაკაზარმალის ტბა“ – მორევი ნოღაზე (მარტვილი, ხუნწი); **ოისიმემ ნაკაზარმუ** „საისლის ნაკაზარმალი“ – სამოვარი ტეზთან. გადაეცა სოფ. გეჯეთს (სენაკი, ჯიხა); **რუსიმ ნაკაზარმ(უ)** „რუსის ნაკაზარმალი“ – მინდორი ოკურჩხალესა და ოღეჯეღალს შუა (ხობი, საჯიჯაო, ჯაპშაქარი).

ბოსელი / ბოსეი „საქონლის სადგომი“ (ელიავა 1997: 34). ტერმინი მეგრულს ქართულიდან აქვს შეთვისებული და წარმოდგენილია როგორც ამოსავალი, ისე მარტვილურისთვის დამახასიათებელი ინტერვოკალურ პოზიციამი **-ლ-** სონორდაკარგული ფორმით. წინავითარების **ნა-** მაწარმოებლიანი ფორმით წარმოდგენილია მეგრულ ტოპონიმიაში: **ნაბოსელ** „ნაბოსლარი“ – სახნავი სოფ. მაზანდარაში, ვენახი სოფ. მოიდანახეში (ცხადაია 2004: 243); სახნავი ზედა მაზანდარაში (წალენჯიხა, მაზანდარა); ბორცვი ნაკოლის ზემოთ (წალენჯიხა, ჭალე); სამოვარი ნიშიის მარჯვ. ნაპირას (ხობი, ბია, საშონიო); **ნაბოსელ(უ)** – ჩაის ფართობი ზემო სათოდულოში, ნაშენთან. აქ კოლმეურნეობის ბოსელი მდგარა (ზუგდიდი, რუხი); სახნავი ლეფედარა-ფაქვაშიის წყალგამყოფ სერზე (ლედეგბე); **ნაბოსელ(ე)** – სახნავი ლეთოდუეში (დომაყე); სახნავი ლექვაჩალეში (მარტვილი, სანაწყებო); სახნავი ტეზში, ნალუს მარცხ. ნაპირზე (მარტვილი,

ნაგვაზაო); სახნავი ნატებერაში (მარტვილი, ხუნწი); **ნაბოსელუ** – სახნავი ნოდელის მარჯვ. მხარეს (აბაშა); **ნაბოსედუ** – სახნავი გაჭედის სატყეოში.

მეგრულ ტოპონიმებში გვხვდება საკულტო ლექსიკასთან დაკავშირებული ფორმები: **თხაშ ნა(ო)ხვამ / მაცხვარი** – ბორცვი ბუმე-ოჩხომურის წყალგამყოფზე (სოფ. გარახა, მოიდანახე). ინფ.: „თხის რძის გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ გაბენების შემდეგ: თხაქ აქ ამოიყვანდნენ, მხარმარჯვნივ შეატრიალებდნენ, ლოცვას ადავლენდნენ, სანთლებს აანთებდნენ, ღმერთს წყალობასა და პირუტყვის ჯანმრთელობას შესთხოვდნენ...ფართო ლოდი იყო, ღრმული ჰქონდა. იქ ყრიდნენ ხურდა ფულს, ნალებს, რკინის მცირე ნატეხებს...“ (ცხადაია 2004: 246); **კაპუნია** – ვაკე-ბორცვი სოფ. მუხურში (ჩხოროწყუ), სქურჩის მარცხ. მხარეს. აქ ტარდებოდა კაპუნობა – ღორის შეწირვის რიტუალი (იქვე, 247); **მირსობა** – ბორცვი სოფ. ეწერში (მარტვილი, ტალერი). აქ მდგარა დიდი თუთის ხე, რომელთანაც მოდიოდნენ მირსობა დღეს და სთხოვდნენ ძროხის დაცვა-გამრავლებას (იქვე, 247); **ჩხოუმ გვთახვამალი / ჩხოუმ დასაბენებელი** – სარიტუალო ცაცხვი ბორცვ მანცხვარზე (ჩხოროწყუ, ხაბუმე); **ჩხოუმ დასაბენებელი** – დავაკება გირძე წელამის ძირას (სოფ. დობერაზენი). აქ იდგა კაკლის ხე. მის ძირას ხდებოდა „ჩხოუმ დაბენება“ – პირველი ნაწველი რძის პროდუქტების შეწირვა. ცაცხვის ძირში ესვენა ხატი **ხორციშ მანცხვარი** (იქვე, 246); **ცხენიშ ოხვამე** – ეკლესია, სასაფლაო. იგივე წმინდა ცხენ(დ)ა (სენაკი, მოხაში);

განსაკუთრებით აღსანიშნავია მეგრულ ტოპონიმთა ერთი რიგი, ე. წ. ჰიბრიდული ტოპონიმები, რომლის ერთი ნაწილი აფხაზურია. ასეთი ტოპონიმები სამეგრელოს მთელ რეგიონში, მათ შორის, უკიდურეს აღმოსავლეთშია (მარტვილი) გავრცელებული. ამ უკანასკნელს უშუალო ენობრივი ინტერფერენციით ვერ ავხსნით. სავარაუდოდ, ეს ფორმები მეგრული მწყემსების მიერაა გავრცელებული, რომლებსაც აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ აფხაზებთან სააფუნო (საზაფხულო) სამოვრებზე. აღმოსავლეთ სამეგრელოში წარმოდგენილი ჰიბრიდული ტოპონიმებია: **ეკუხონაშ აზმახი** „აღმართის ტბორი“, **ტოტოიაშ ამმახ** „ტოტოიას ტბორი“ (ტოტოია პირსახელია), **შვამახიას ამმახ** (შვამახია გვარსახელია), **ცორადილი ამმახი** „დამპალი ტბორი“ (ბუკია 2007: 51).

მითითებული ლიტერატურა:

ბუკია 1999 – მ. ბუკია, ცხენოსნობისა და მეცხენეობის ლექსიკა ზანურში (მეგრული დიალექტის მიხედვით), სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი

ბუკია 2007 – მ. ბუკია – ერთი ტიპის ტოპონიმებისათვის მეგრულში, ქართველური ონომასტიკა III, თბილისი

ელიავა 1997 – გ. ელიავა, 1997, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, მარტვილი – თბილისი

სახოკია 1985 – თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი

ქაჯაია 2001 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი

ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი

ქაჯაია 2002-ა – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი

ქობალია 2010 – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი

ყიფშიძე 1914 – И Кипшидзе Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем С-Пб

ცხადაია 1999 – პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიდან I, თბილისი

ცხადაია 2004 – პ. ცხადაია, მესაქონლეობის აღმნიშვნელი ლექსიკა ზემო სამეგრელოს ტოპონიმიში, ქართველური ონომასტიკა-II, თბილისი

Manana Bukia

Shepherd vocabulary in Megrelian Toponymics

Abstract

Forms related to shepherd vocabulary are common for Megrelian toponymics.

The most frequently toponyms are associated terms denoting summer cattle-sheds:

ḳare / naḳaru „shelter“ / „tent“: **ḳare, ḳareši, naḳaru, ionaš ḳare, iosebiš naḳaru...**

šušeli „bare/naked“, alpine pasture: **šušeli, šušelia, šušelcipona...**

dabargeba „cattle shelter at the summer-winter pastures migration area“: **nabarg, maciš nabarg, šxuriš ginabarga...**

Very common are the hybrid composites where one word is associated to Megrelian shepherd vocabulary, while another is adopted from Abkhazian language: **eḳxunaš azmax, ṭoṭoiaš azmax, švamaxiaš azmax...**

ქართველური ონომასტიკა, VIII, თბილისი, 2017, გვ. 67–77

Karvelian onomastics VIII, Tbilisi, p. 67-77